შუასაუკუნეების ფეოდალური საქართველოს გლეხთა სოციალური მოწყობის საკითხები

DOI: https://doi.org/10.52340/splogos.2025.02.10

ზვიად გიორგაძე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტეტის
დოქტორანტი
zviadgiorgadze@gmail.com
ORCID iD: https://orcid.org/0009-0006-2806-9626

აბსტრაქტი

შუასაუკუნეების ფეოდალური საქართველოს სოციალური ფენების წარმოშობა, ცალკეული სათავადოების სახით, განაპირობა პრობლემამ, რომელიც ფეოდალური საქართველოს სოციალ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ წყობას უკავშირდება. საქართველოში სათავადოები ქვეყნის დაქსაქსულობის პირობებში წარმოიქმნენ. ამ საკითხის ირგვლივ შესწავლილი ქართული წყაროები შევადარეთ რომში კათოლიკე მისიონერთა მიერ გაგზავნილ წერილებსა თუ რელაციებს. საკითხები, რომლებიც იმდროინდელი საქართველოს სხვადასხვა სოციალურ ფენებში არსებობდა და აღწერეს კათოლიკე მისიონერებმა, სარწმუნოდ უნდა ჩაითვალოს. დოკუმენტები, რომლებიც ინახება ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში, თ.ს.უ. ბიბლიოთეკასა და ბ. გიორგაძის პირად არქივში, საშუალებას გვაძლევს ჩამოვაყალიბოთ ფეოდალური საქართველოს სოციალური მოწყობის საკითხი.

საკვანძო სიტყვები: მისიონერთა რელაციები, სათავადო, საქართველო, მკვიდრი გლეხი, ბოგანო გლეხი

Peasants' Social Organization Issues of Medieval Feudal Georgia

Zviad Giorgadze
PhD student, Faculty of Law and International Relations,
Georgian Technical University
zviadgiorgadze@gmail.com
ORCID iD: https://orcid.org/0009-0006-2806-9626

Abstract

The origin of the social layers of medieval feudal Georgia in the form of separate principalities was determined by the problem related to the socio-economic and political structure of feudal Georgia. Principalities in Georgia were formed in the conditions of the country's dissipation. We studied the Georgian sources on this issue and compared them with the letters and reports sent by the Catholic missionaries in Rome. It can be easily said that the issues raised in different social strata of Georgia at that time and were described by the Catholic missionaries should be considered credible. The documents are in our possession and are kept in the National Center of Manuscripts, T.S.U. Library and B. Giorgadze's archive allow us to formulate and present to you the issue of the social organization of feudal Georgia. In Georgia, the nobility arose in the conditions of the country's disintegration. We compared the Georgian sources studied on this issue with the letters or reports sent by Catholic missionaries to Rome. The issues that existed in different social strata of Georgia at that time and were described by Catholic missionaries should be considered reliable. The documents that are kept in the National Center of Manuscripts, the TSU Library, and B. Giorgadze's archive allow us to formulate the issue of the social organization of feudal Georgia.

Keywords: Relations of the Missionaries, Nobleman, Georgia, Native Peasant, The “Bogan” Peasant

შესავალი

გარეშე მტრების შემოსევებმა ქვეყნის სამეურნეო დეგრადაცია[159] გამოიწვია. ცენტრალური ხელისუფლების საყრდენი ელემენტები შესუსტდნენ.[160] ასეთ პირობებში მსხვილ ფეოდალთა ბრძოლას „ხელმწიფობისათვის“ წარმატება მოჰყვა.[161] ფეოდალური დაშლილობის შემდეგ, სამეფო-სამთავროებში აღმოცენდა სათავადოები. საერთო ქონება, რომელსაც სათავადოს უფროსი განაგებდა, სათავადო ქონების დიდ ნაწილს შეადგენდა. მასში შედიოდა ადგილ-მამული (სახნავ-სათესი, ბაღ-ვენახები, საძოვრები, ტყეები, მდინარეები). ყმები (ყმა-გლეხები, აზნაურები), ჯოგები, ეკლესია-მონასტრები, ციხე-სიმაგრეები, ქალაქები, საბაჟოები, სასაფლაო და აგრეთვე სხვადასხვა საწარმო (წისქვილი, საფეიქრო, სამღებრო და სხვა). სახლიკაცებს-თავადებს, თავადიშვილებს პირადი საოჯახო, „სათავისთავო“ ქონება (ნასყიდი, ნამზითვი და სხვა) ჰქონდათ და ის, მათ სრულ განკარგულებაში იყო.

[159] ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი-მ. თამარაშვილის არქივი
[160] დონ ჯუზეპე ჯუდიჩე მილანელი-წერილები საქართველოზე. 1964 წ. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“
[161] გიორგაძის ბ. პირადი არქივი

დასავლეთ საქართველოში, ცენტრალური ხელისუფლების სისუსტის გამო, სათავადოებმა საგადასახადო და სასამართლო შეუვალობა მოიპოვეს. ადმინისტრაციულ და სასამართლო ფუნქციებს სათავადოს უფროსი ახორციელებდა. ისინი, საგარეო ურთიერთობებშიც, დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე, მეტ-ნაკლებ დამოუკიდებლობას იჩენდნენ.

ყოველივე ამან, განაპირობა დასავლეთ საქართველოში კათოლიკე მისიონერთა ცხოვრება. ისინი აქ თავისუფლად გადაადგილდებოდნენ, ცხოვრობდნენ და მონაწილეობას იღებდნენ, როგორც სასოფლო-სამეურნეო, ასევე სამკურნალო და საგანმანათლებლო საქმეში. დიდი თანადგომა ჰქონდათ ოდიშისა და გურიის მთავრებისგან.[162] ამიტომაც, მისიონერთა ჩანახატები, წერილები თუ რელაციები ძირითადად ეხება ამ მხარის მოსახლეობის ცხოვრებას.[163] მისიონერთა ჩანახატებსა და რელაციებში საკმაოდ ნათლად და ვრცლად არის წარმოდგენილი საგლეხო მეურნეობები და მათი საქმიანობა. ამ კუთხითა და შესაბამის მასალებზე დაყრდნობით, ქართველი ეთნოგრაფების მასალებთან შეჯერებით სარწმუნო წარმოდგენას ვიღებთ ფეოდალურ საქართველოში მცხოვრები ქართველი გლეხების საქმიანობის შესახებ.

ძირითადი ნაწილი

საქართველოში, უძველესი დროიდან, განვითარებული იყო მიწათმოქმედება და მესაქონლეობა. როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, ფეოდალიზმის ხანაში მეურნეობის ძირითად უჯრედებს საგლეხო ფუძე და საბატონო მეურნეობა შეადგენდა.[164] შესაბამისად, მეურნეობის ეს დარგები (მიწათმოქმედება, მესაქონლეობა) გლეხის ფუძეზე და საბატონო მამულში ხორციელდებოდა. მარცვლეული კულტურების მოყვანა, მებაღეობა-მევენახეობა საქართველოში რომ უძველესი დროიდან იყო განვითარებული[165] მტკიცებას არ საჭიროებს. ამჯერად, მოვიყვანთ ქართულ და უცხოურ წყაროებში დაცულ ცნობებს - მეურნეობის ამ დარგების შესახებ. როგორც სხვადასხვა წყაროებიდან ხდება ცნობილი, გლეხის ფუძის იმ მონაკვეთზე, რომელიც სახნავ-სათესად (საყანედ) იყო გამოყენებული მოყავდათ მარცვლეული სხვადასხვა ჯიშები. შედარებით უფრო მეტი მასალა მოიპოვება მიწათმოქმედების მეორე მნიშვნელოვან დარგზე, მევენახეობა-მეღვინეობაზე.

---

[162] გიორგაძის ბ. პირადი არქივი
[163] დონ კრისტოფორო დე კასტელი-ცნობები და ალბომი საქართველოს შესახებ. გამომცემლობა „მეცნიერება“ 1077წ.
[164] ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი-მ. თამარაშვილის არქივი
[165] დონ კრისტოფორო დე კასტელი-ცნობები და ალბომი საქართველოს შესახებ. გამომცემლობა „მეცნიერება“ 1077წ.

ვენახის მოშენება ქართველი გლეხის ეკონომიკური მდგომარეობის ერთ-ერთი ძირითადი, განმსაზღვრელი ფაქტორი იყო. ამასთან დაკავშირებით, უაღრესად ნიშანდობრივია ბოგანო გლეხის მნიშვნელობის ერთ-ერთი ყველაზე მეტად გავრცელებული განმარტება, რომ ,,ბოგანო'' ,,უვენახო'' გლეხს ეწოდება.[166] შესაძლებელია, მკვლევრები არ ტყუიან, რომლებიც თვლიან, რომ გლეხის ბოგანობას მხოლოდ უვენახობა არ განსაზღვრავს, მაგრამ ის გარემოება, რომ საყოველთაოდ გავრცელებული აზრი, ,,ბოგანო'' - უვენახო გლეხია, თავისთავად, მრავლისმთქმელია და მიგვანიშნებს, ვენახის მნიშვნელობის შესახებ ფეოდალურ საქართველოში.

ღვინო, როგორც ავღნიშნეთ, გლეხის ოჯახისთვის აუცილებელი ყოველდღიური სასმელი იყო. რასაც ადასტურებს, ზემოთ აღწერილი, გლეხის საცხოვრებელი სახლი, რომელშიც ერთი ოთახი საოჯახო მარანს განეკუთვნებოდა. ღვინის სათავსო პატარა საცხოვრებელი სახლის შიგნით მოთავსებული მარნით არ ამოიწურებოდა. თითოეული გლეხის ოჯახს ჰქონდა ცალკე მდგომი მარანი- ღვინის წლიური მოსავლის შესანახად. ასეთი მარნები ეზოში იყო მოთავსებული. ეს ნათლად ჩანს კასტელის ნახატებშიც.[167] გლეხის სოციალური ყოფა-ცხოვრებისა და საქმიანობის შესახებ საკმაო მასალა მოიპოვება დონ ჯუზეპე ჯუდიჩე მილანელის, არქანჯელო ლამბერტის, მონსინიორე ლეონისა და სხვათა წერილებსა თუ რელაციებში. ამათგან, ნაწილი ინახება მ. თამარაშვილის არქივში. უფრო მეტი მასალა ჯერ კიდევ შეუსწავლელია და დაცულია ვატიკანის საიდუმლო არქივებში. ამ მონაცემებში ნახსენებია მევენახეობა-მეღვინეობასთან დაკავშირებული სამეურნეო დანიშნულების ინვენტარი: საწნახელები, საქანჯები და სხვა ნივთები. დასავლეთ საქართველოში გავრცელებული საწნახელი დამზადებული იყო ხისგან. ის ყველა მევენახის ოჯახში მოიპოვებოდა.

გლეხის ოჯახი, ფეოდალური წყობის დროს, ყურძენს ნაწილობრივ საჭმელად მოიხმარდა, ძირითადად კი - საღვინედ. სრული ფუძის მქონე გლეხს ჰქონდა საკუთრად გამართული საწნახელი, მარანი. ღვინის დაყენება ხდებოდა ოჯახში. ღვინის ძირითად ნაწილს ოჯახში მოხმარდნენ, დანარჩენს კი - ყიდიდნენ.

საქართველოში, უძველესი დროიდან, სოფლის მეურნეობის მეორე დარგს, მესაქონლეობა წარმოადგენდა. მათ მეურნეობაში მოშინაურებული ჰყავდათ: ცხენი, ძროხა, ხარი, კამეჩი, ცხვარი, თხა და ღორი, ასევე ფრინველები. საქონლი გამწევ ძალად

[166] დონ ჯუზეპე ჯუდიჩე მილანელი-წერილები საქართველოზე. 1964 წ. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“

[167] დონ კრისტოფორო დე კასტელი-ცნობები და ალბომი საქართველოს შესახებ. გამომცემლობა „მეცნიერება“ 1077წ.

მოიაზრებოდა: ხვნა-თესვა, გალეწვა, გადაზიდვა-გადაყვანა, ხარ-კამეჩისა და ცხენის საშუალებით ხდებოდა. საკვებად კი გამოიყენებდნენ ცხვრის, თხისა და ღორის ხორცს.

ფეოდალურ საქართველოში ფართოდაა გავრცელებული ნადირობა. იგი ორ მიზანს ემსახურებოდა, ერთის მხრივ, მას გართობა-დროსტარების, სპორტისა და სამხედრო წვრთნის მნიშვნელობა ჰქონდა, ხოლო მეორეს მხრივ - სამეურნეო დანიშნულების. გლეხისათვის ნადირობას, პირველ რიგში, სამეურნეო დანიშნულება ჰქონდა. საგლეხო მეურნეობაში მისდევდნენ მეფუტკრეობას. მისი უნიკალური მნიშვნელობის შესახებ მეტყველებს ცვილის არსებობა, რომელსაც მოიხმარდნენ ეკლესიაში. თაფლი კი - საკვებად გამოიყენებოდა, მისგან ამზადებდნენ თაფლაკვერებს.

ამ ეპოქისათვის დამახასიათებელია კარჩაკეტილი მეურნეობა. გლეხები საჭირო იარაღებსა და ტანისამოსს სახლის პირობებში ქმნიდნენ.[168] ისინი ამზადებდნენ ტყავს, ლითონის მარტივ იარაღებს, უბრალო თიხის ჭურჭელს, მატყლის ნართს, რომლისაგანაც ქსოვდნენ ტანისამოსს. რძის პროდუქტებისაგან ამზადებდნენ საკვებს, რაზეც მეტყველებს მათ ოჯახებში არსებული სხვადასხვა საოჯახო ჭურჭელი.

სავარაუდოა, რომ გლეხი, წარმოებული პროდუქციის ნაწილს ბაზარში ყიდიდა. ამაზე მეტყველებს რელიგიური ნიშნით გამართულ დღესასწაულებზე მოწყობილი ბაზრობები და ის, რომ გლეხი, გადასახადის ნაწილს ფულადი სახით იხდიდა.

ფეოდალური ხანის გლეხის ეკონომიკური მდგომარეობა მიწის საკუთრების ფორმებზე იყო დამოკიდებული. მიწის იურიდიული მფლობელი ფეოდალი იყო. იგი გასცემდა მიწას გლეხზე- გარკვეული პირობებით.[169] მიწაზე მიმაგრებული გლეხი საკუთარ მეურნეობას მიწის იმ ნაკვეთზე აწარმოებდა,[170] რომლის მემკვიდრეობით მფლობელიც ის იყო. ამასთან დაკავშირებით ნ. ბერძენიშვილს აღნიშნული აქვს, რომ ბექა-აღბუღას სამართლის მიხედვით, XIII-XV საუკუნის ბატონყმობის იურიდიული გამოხატულება -მიწის მწარმოებელი საზოგადოების მიწაზე მიმაგრება უწინდელი ფაქტი იყო. კანონდებლობის მიხედვით, მიწის პატრონს, უფლება არ ჰქონდა გლეხი მიწისთვის თვითნებურად მოეშორებინა. გლეხის მიერ, ინტენსიური მეურნეობის წარმოების ეს ძირითადი პირობა, ჩანს, შერყეული იყო. ამიტომ, კანონმდებლობამ საჭიროდ მიიჩნია გლეხის ამ უფლების განსაკუთრებით აღნიშვნა. ფეოდალურ მეურნეობაში ჩაბმული გლეხისთვის დადგენილი არ იყო მიწის ოდენობა. გლეხობის

[168] დონ კრისტოფორო დე კასტელი-ცნობები და ალბომი საქართველოს შესახებ. გამომცემლობა „მეცნიერება“ 1077წ.
[169] გიორგაძის ბ. პირადი არქივი
[170] ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი-მ. თამარაშვილის არქივი

ძირითად სამეურნეო ერთეულს „ფუძე“ წარმოადგენდა. XIII-XIV საუკუნის დოკუმენტურ მასალაში დამოწმებულია მიწის სიდიდის სხვა ზომებიც: გუთანი, დღის მიწა, ადლი და სხვა. ი. ჯავახიშვილის აზრით, „მიწა“ და „ფუძე“ ერთი და იგივე იყო. მისივე აზრით, ორივე განმარტება იმდენად სივრცის საზომს არ აღნიშნავდა, რამდენადაც საგლეხო მეურნეობისა და მოსახლეობის ოდენობას. იგივე მოსაზრებისაა ნ. ბერძენიშვილიც. იგი წერს: „მიწა აქ ნიშნავს ზომის გარკვეულ საგლეხო-სამეურნეო ერთეულს-ფუძეს“. თითქმის იგივეს ამტკიცებს ლეონეს, ჯუდიჩესა და კასტელის ვატიკანში გაგზავნილი რელაციები. ქართულ კანონში შეტანილი იყო პირობა, რომ მიწის პატრონი გლეხს მიწას ვერ ჩამოართმევდა. ამის მიზეზად ისინი მიიჩნევენ იმდროინდელ ისტორიულ მოვლენებს: კერძოდ, ომიანობის პერიოდში, მონღოლებისაგან დარბეული მოსახლეობის მიერ საცხოვრებლ სახლების მიტოვებასა და უსაფრთხო ადგილებში გახიზვნას. ასეთ მომენტებში მეურნეობა მოშლილი იყო. ამ პირობებში კი ქართული კანონმდებლობა ცდილობდა დაეინტერესებინა „გარეთ წასული“ მწარმოებელი საზოგადოება, რათა დაბრუნებოდნენ საკუთარ მიწებს. აღედგინათ მეურნეობა და რაც განსაკუთრებით საყურადღებოა, არ მოქმედებდა კანონის ხანდაზმულობა. თუმცა, ფუძეზე გლეხის უფლება, მაინც განსაზღვრული იყო. გლეხის მთელი ქონება მიწასთან ერთად ბატონის დაქვემდებარებაში რჩებოდა და ზედამხედველობასაც ის ახორციელებდა.

როგორც ქართული წყაროებიდან ირკვევა, მონღოლებამდე საქართველოში გლეხობის ძირითადი მასა მიწაზე იყო მიმაგრებული და მკვიდრ გლეხობას წარმოადგენდნენ. სურათი შეიცვალა მონღოლთა შემოსევების შემდეგ: გლეხობის ნაწილი კვლავ აწარმოებდა მეურნეობას და საკმაოდ გადახდის უნარიანი იყო. ნაწილი კი საკუთარი მიწიდან გაიქცა ექსპლატაციისგან თავის დაღწევის მიზნით. ასეთი გლეხები უმიწო-უმამულო გლეხებად მოიაზრებიან. როგორც იმ ეპოქის წყაროები მეტყველებს[171] გლეხებს დაკისრებიათ ორმაგი გადასახადი (ბეგარა), ერთის მხრივ მონღოლთაგან და მეორეც-ადგილობრივი. ქართული საზოგადოება ერთმანეთისაგან განასხვავებდა ადგილობრივ და უცხოურ გადასახადებს. მათ კარგად იცოდნენ, რომ ეს ორი გადასახადი სხვადასხვა რიგისა და ხასიათის იყო. მონღოლთა ბატონობა ამწვავებდა გლეხობის ეკონომიკურ მდგომარეობას. მაგალითად: 1344 წელს, შიო მღვიმის მთავარ-მამამ ერთ ოჯახს მისცა სამი დღის მიწა - „უსარჩელო, მოუდევარი და უპატრონო, ვარდანის ძეთა საღალოდ რომე ჰქონდეთ“. საბუთში სიტყვა „უპატრონო“აღნიშნავდა მეღალე გლეხს, რომელიც ამუშავებს მიწას, მაგრამ მიწასთან მისი დამოკიდებულება დროებითი იყო. იგი არ ითვლებოდა მიწის პატრონად. ისმის

[171] ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი-მ. თამარაშვილის არქივი

კითხვა: ვინ უნდა ყოფილიყო მეღალე გლეხი. ამ კითხვაზე პასუხი, სავარაუდოდ, შეიძლება ვიპოვოთ არაერთი კათოლიკე მისიონერის მოხსენებებში. მ. თამარაშვილის არქივში დაცული მასალებიდან ირკვევა, რომ XIII-XV საუკუნეში მიწა საკმარისად იყო, ხოლო მფლობელთა რაოდენობა შეთხელებული. მოსახლეობას გაუზარდეს ბეგარა-გადასახადები, გლეხი გაიქცა მკვირდი სამყოფელიდან. მან დაიწყო საარსებო საშუალების ძებნა და სწორედ, ერთ-ერთი ასეთი საშუალება არმოჩნდა საღალოდ მიწის აღება. დოკუმენტებში ნათქვამია, რომ გლეხი მიწას იღებსდა იჯარით, რის შედეგადაც შემოსავლის ნაწილს უხდიდა მიწის მეპატრონეს, ნაწილს კი - თავად მოიხმარდა. გლეხისათვის ასეთი პირობა მისაღები იყო, რადგან თავს იცავდა კლასობრივი ჩაგვრისაგან.

ამრიგად, უმიწო გლეხთა ერთ ჯგუფს შეადგენდა მეღალე გლეხები, მაგრამ არსებობდნენ უმიწო გლეხთა სხვა ჯგუფებიც. მაგალითად, 1250-60 წლებით დათარიღებული შიო მღვიმის სიგელში ვკითხულობთ: „ზოგნი კაცნი ვინმე მსხდომილ იყვნეს არ მემამულენი. მიწა ვენახად გაუშენებიათ“.[172] როგორც ირკვევა, „ზოგნი კაცნი“ მემამულენი არ არიან მკვიდრი გლეხები, ისინი ამუშავებდნენ სხვის მიწებს, იღებდნენ საკუთარი შრომის საფასურს-გასამრჯელოს და მიდიოდნენ. ქართულ და უცხოურ დოკუმენტებზე დაყრდნობით შეიძლება ვიფიქროთ[173], რომ ეს „ვინმე კაცნი“ უცხოეთიდან, ან შორიდან მოსულები არ უნდა ყოფილიყვნენ. მათ დაამუშავეს მიწა და გააშენეს ვენახები.[174] ვენახის გაშენება კი მოითხოვდა სპეციალურ ცოდნას. ე.ი. ეს „ვინმე კაცნი“ ამ დარგის სპეციალისტები ყოფილან. სავარაუდოა, რომ მათ უახლოეს წინაპრებს უნდა ჰქონოდათ საკუთარი მიწა. შესაძლოა, ოჯახებს გამრავლების გამო აღარ ყოფნიდათ არსებულ მიწაზე მოყვანილი მოსავალი გამოსაკვებად და იძულებულები იყვნენ დამატებითი შემოსავალი გაეჩინათ სხვა ტიპის ფიზიკური შრომით. შესაძლებელია, ისინი ყოფილიყვნენ მონღოლთა ბატონობის შედეგად, საკუთარი მამულიდან გაქცეული და სხვა მხარეში, საშოვარზე წასული გლეხები. სამწუხაროდ, არც ქართულ და არც კათოლიკე მისიონერთა მასალებში არაფერია ნათქვამი იმის შესახებ, თუ რა ურთიერთობაში იყვნენ საშოვარზე წასული გლეხები თავიანთ პატრონებთან, რა დამოკიდებულება არსებობდა მათ შორის. ისინი საშოვარზე დადიოდნენ სეზონურად. ცხადია, შემდეგ, უბრუნდებოდნენ საკუთარ ოჯახებს. ისმის კითხვა: გლეხობის ეს გარკვეული ჯგუფი ხომ არ იყო ის ჯგუფი, რომელებიც აყრილი ან გაქცეულები იყვნენ თავისი

[172] დონ ჯუზეპე ჯუდიჩე მილანელი-წერილები საქართველოზე. 1964 წ. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“

[173] ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი-მ. თამარაშვილის არქივი

[174] დონ კრისტოფორო დე კასტელი-ცნობები და ალბომი საქართველოს შესახებ. გამომცემლობა „მეცნიერება“ 1077წ.

სამკვიდრებლიდან, ან მცირემიწიანობის გამო გაექცნენ საბატონო ბეგარას. ამ საკითხის ირგვლივ, მეცნიერთა ერთი ჯგუფი გამოთქვამს მოსაზრებას, რომ საქართველოში, სავარაუდოდ, ბოგანო გლეხის გაჩენა ამ საკითხს უნდა უკავშირდებოდეს.

აქ იკვეთება ერთის მხრივ გლეხობა მცირე მიწიანი, ეკონომიურად დაქვეითებული მცირე შემოსავლით და მეორე შემთხვევაში-ეკონომიურად ძლიერი და საკმაოდ აღზევებული გლეხები. ამ პერიოდში გვქონდა კანონმდებლობა, რომელიც კრძალავდა „გლეხის მიერ გლეხის ყიდვას“. ნ. ბერძენიშვილს აღნიშნული აქვს, რომ ასეთ პრაქტიკას ადგილი ჰქონია XIII საუკუნიდან. გლეხის მიერ, სხვა გლეხის ყიდვის ტენდენცია იმაზე მიუთითებს, რომ ერთ შემთხვევაში, ერთობ გაფართოვებული მეურნეობა ჰქონდა გლეხს, და პატრონი ვეღარ აუდიოდა მეურნეობის წარმოებას, სურდა ჰყოლოდა დაქვემდებარებული პირი (პირები) საკუთარ მეურნეობაში ფიზიკურად გამოსაყენებლად. ცხადია, ასეთი გლეხი ეკონომიურად აღზევებული იქნებოდა. ესეიგი ერთის მხრივ, იყო მეურნეობისა და ეკონომიკის აღზევება, მეორეს მხრივ კი - დაბეჩავებული, ეკონომიურად დაკნინებული გლეხობის ნაწილი, რომელიც მდიდარი გლეხის მიერ დაყმევებისა და სყიდვის საგანი ხდებოდა. ფაქტები მოგვითხრობენ იმ გარემოებაზე, რომ გლეხობა ეკონომიკური თვალსაზრისით, არ იყო ერთგვაროვანი ფენა. თავისთავად იბადება კითხვა: რა გზით ახერხებდა გლეხობის ნაწილი ეკონომიკურად აღზევებას? ამ კითხვაზე პასუხი შეიძლება ვიპოვოთ არქანჯელო ლამბერტის 1636-57 წლებით დათარიღებულ დოკუმენტებში. ერთ-ერთ დოკუმენტში მოთხრობილია შემდეგი: ერთმა მდიდარმა გლეხმა-გრიგოლმა მდინარეზე ააგო წისქვილი, იყიდა სხვა გაღარიბებული გლეხი და დასვა მეწისქვილედ. მას არავითარი გადასახადი არ დააკისრა, შემოსავლის ნახევარი მეწისქვილესი იყო, მეორე ნახავარი კი მეპატრონის, რადგანაც ეს წისქვილი შესწირა ეკლესიას და ჩაეთვალა კეთილ საქმეში. პოტენციაში ასეთი გლეხი იყო ეკონომიურად ძლიერი, მისი საბატონო ვალდებულებები მინიმუმამდე იყო დაყვანილი. სწორედ ასეთი გლეხები ქმნიდნენ ეკონომიკურად ძლიერ გლეხთა ჯგუფს, რომელთაც ცნობდნენ, როგორც კარგი საქმის მკეთებლებს.

ეკონომიკურად აღზევების საშუალება ქვეყნის განვითარების ნორმალურ პირობებში, უპირველესად ჰქონდა მკვიდრ გლეხს. მას ეკუთვნოდა მემკვიდრეობით მიწის ნაკვეთი (ფუძე-ერთი კომლისათვის), რომელზეც შეეძლო ეწარმოებინა ინტენსიური მეურნეობა.[175] ამასთან, რამდენიმე თაობის განმავლობაში, მკვიდრი

[175] დონ ჯუზეპე ჯუდიჩე მილანელი-წერილები საქართველოზე. 1964 წ. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“

გლეხის ოჯახს შეეძლო გამოეჩინა თავი პატრონის წინაშე და ამ დამსახურებისათვის მიეღო „წყალობა“. ასევე, ომიანობის დროს შეეძლო საკუთარი „ხრმლით ნაშოვნი“-ით მოეპოვებინა წყალობა, რაც დამოკიდებული იყო ამა თუ იმ გლეხის პირად უნარზე.

მეორეს მხრივ, ფეოდალთან ცუდი დამოკიდებულება „განწყობა“, „ომიანობა“ ამა თუ იმ გლეხის ოჯახის გაღატაკების მიზეზი ხდებოდა. შეიძლება დავასკვნათ, რომ მიუხედავად თავისი ბეგარა-გადასახადებისა, მკვიდრ გლეხს შესაძლებლობა ჰქონდა ეკონომიკურად დაწინაურებისა.[176] სწორედ ასეთი გარემო პირობები აქვს აღწერილი, კონკრეტული ფაქტებით, კათოლიკე მისიონერ-ჯუზეპე ჯუდიჩე მილანელს თავის რელაციაში, რომელიც გააგზავნა ვატიკანში პროპაგანდა ფიდეს მისამართით. აღწერილი ფაქტები, კონკრეტული, გაძლიერებული თუ გაღატაკებული გლეხების შესახებ, შეიძლება მივიჩნიოთ სარწმუნოდ, რადგან იგი საქართველოში ცხოვრობდა დიდი ხნის განმავლობაში და კარგად იცნობდა ადგილობრივ პრობლემებს.[177] ამავე რელაციაში ავტორი აკეთებს შენიშვნას, რომ „უმამულო“ გლეხები, რომლებიც გაექცნენ ძველ მეპატრონეს „თავისუფლები“ იყვნენ, მაგრამ ეს თავისუფლება უპერსპექტივო იყო და ეძებდნენ ახალ ბატონს პირადი ეკონომიკური გაძლიერებისთვის. ამისათვის კი მათ მიწაზე ფეხის მტკიცედ მოკიდება ესაჭიროებოდათ. სანამ ამას მოახერხებდნენ, მიმართავდნენ სხვადასხვა ხერხს: საღალედ მიწებს იღებდნენ, ქირაზე დადიოდნენ და სხვა.

ფეოდალური კლასი გულხელდაკრეფილი არ უყურებდა შექმნილ ვითარებას, ცდილობდა ქვეყნის მოშენებას. ამ შემთხვევაში ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ მებატონე მიწაზე ასახლებდა ისეთ ყმებს, რომელთაც სასახლის შიგნით ევალებოდათ სამსახური: მერიქიფე, მეჯინიბე, „შინაკაცი“ და სხვა.[178] ამასთან, მებატონე ცდილობდა ისინი დაესახლებინა აუთვისებელ მიწებზე, რათა საკუთარი მეურნეობა გაეფართოვებინა.

დასკვნა

შეიძლება ვიფიქროთ, რომ XV საუკუნის სათავადო სისტემის ჩამოყალიბებასთან ერთად მოხდა საბატონო გლეხების უფლება-მოვალეობათა შეცვლაც. უთანასწორო ბრძოლებში გადარჩნენ გლეხების ის ნაწილი, რომელიც უშუალოდ ფეოდალთა კალთას შეფარებულნი იყვნენ. ასეთებს წარმოადგენდნენ ფეოდალთა პირადი მსახური გლეხები და სასახლის ყმა-გლეხები. ქვეყანაში მშვიდობის დამყარების შემდეგ, შესაძლებელი გახდა ქვეყნის განვითარებაზე ფიქრი. ფეოდალები

[176] ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი-მ. თამარაშვილის არქივი
[177] გიორგაძის ბ. პირადი არქივი
[178] ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი-მ. თამარაშვილის არქივი

იძულებულნი გახდნენ უარი ეთქვათ მრავალრიცხოვან მსახურთა პირად მომსახურებაზე. ყმა გლეხთა ერთი ნაწილის სასახლეში დასაქმებაზე და მათთვის ეს სამსახური სხვა ვალდებულება-მოვალეობით შეეცვალათ.

ამრიგად XIII-XV საუკუნის საქართველოში არსებობდა გლეხობის ორი ჯგუფი. გლეხობა, რომელსაც ჰქონდა მყარი ეკონომიკური მდგომარეობა (ძირითადად მკვიდრი გლეხები), გააჩნდათ მიწა, აწარმოებდნენ მეურნეობასა და იხდიდნენ ბეგარას. მეორე ნაწილი კი ეკონომიკურად გაჭირვებული იყო და არსებობისათვის სხვადასხვა საშუალებებით ბრძოლა უხდებოდა (საღალე მიწის აღება, ქირით ვენახების გაშენება და სხვა).

გამოყენებული ლიტერატურა

1. დონ ჯუზეპე ჯუდიჩე მილანელი-წერილები საქართველოზე. 1964 წ. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“
2. ბ. გიორგაძის პირადი არქივი
3. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი-მ. თამარაშვილის არქივი.
4. დონ კრისტოფორო დე კასტელი-ცნობები და ალბომი საქართველოს შესახებ. გამომცემლობა „მეცნიერება“ 1077წ.